ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

# საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება

**დამტკიცებული:**

სენატის სხდომის ოქმი N7.

თარიღი: 21.03.2023 წ.

დადგენილება N11.

**ცვლილება:**

სენატის სხდომის ოქმი N1.

თარიღი: 15.01.2025 წ.

დადგენილება N11

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

**1.1.** „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობასა და საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას;

**1.2.** სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტის დებულების, პერსონალის მართვის წესის, ამ დებულებისა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

## მუხლი 2. სამსახურის მართვა და ფუნქციები

**2.1.** საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი. სამსახურს შესაძლებელია ჰყავდეს მთავარი სპეციალისტი, მრჩეველი, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

**2.2. სამსახურის ამოცანებია:**

ა. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა - უნივერსიტეტის ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია;

ბ. საერთაშორისო პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, კვლევითი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციების მოძიება;

გ. საერთაშორისო პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კვლევით და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ახალი ურთიერთობების დამყარება;

დ. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესახებ ინფორმაციის მოძიება;

ე. უნივერსიტეტში კულტურულ - შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა საერთაშორისო დონეზე;

ვ. საერთაშორისო კონფერენციებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება;

ზ. უნივერსიტეტის სახელით ერთობლივი საგრანტო, სასტიპენდიო და კვლევითი პროექტების კოორდინირების უზრუნველყოფა;

თ. ადგილობრივი სტუდენტებისათვის გაცვლით პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

ი. საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა;

კ. მონაწილეობა ბიუჯეტის ფორმირებაში.

**2.3. სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციები:**

ა. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა - უნივერსიტეტის ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია;

ბ. ინფორმაციის მოძიება საერთაშორისო პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, კვლევითი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ, მათთან კომუნიკაციისა და ერთობლივი პროექტების შემუშავების უზრუნველყოფა;

გ. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესახებ ინფორმაციის მოძიება;

დ. უნივერსიტეტში საერთაშორისო დელეგაციების ვიზიტების დაგეგმვა/ორგანიზება;

ე. უნივერსიტეტის სახელით ერთობლივი საგრანტო, სასტიპენდიო და კვლევითი პროექტების კოორდინირების უზრუნველყოფა;

ვ. უნივერსიტეტის დებულებით, სამსახურის დებულებით, მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სამსახურის სხვა ფუნქციების განხორციელება;

ზ. მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

**2.4. სამსახურის მთავარი სპეციალისტის ფუნქციები:**

ა. საქმიანი ურთიერთობების დამყარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სასწავლო - სამეცნიერო ცენტრებთან, კულტურულ - სპორტულ, შემოქმედებითი და სხვა სახის ორგანიზაცია - დაწესებულებებთან, ცნობილ მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან;

ბ. საერთაშორისო სტუდენტების დახმარება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვაში;

გ. სოციალურ, კულტურულ, გარემოსდაცვით და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში მონაწილეობის უზრუნველყოფა;

დ. საერთაშორისო კონფერენციებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება;

ე. უნივერსიტეტში კულტურულ - შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;

ვ. სამსახურის ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება.

**2.5. მრჩეველის ფუნქციები**

ა. მრჩეველი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გასცემს რეკომენდაციებს, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მდგრად განვითარებას საერთაშორისო ასპარეზზე;

ბ. მრჩეველს შეუძლია წარმოადგინოს უნივერსიტეტი პარტნიორებთან ურთიერთობების პროცესში.

**მუხლი 3. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

**3.1.** წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

**3.2.** უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

**3.3.** დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

**3.4.** წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.